პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

____ ივნისი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საავტომობილო გზაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

1. ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე დაწესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან ივანე ჯავახიშვილის ქუჩამდე, ხოლო სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების (M3 კატეგორია) მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლი გამოიყოს და ამ ზოლში მოძრაობის მიმართულება დაწესდეს ივანე ჯავახიშვილის ქუჩიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით, თანახმად დანართი №1, 1ᵃ, 1ᵇ და 1ᵃ-სა.

2. ქალაქ ბათუმში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე გამოიყოს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების (M3 კატეგორია) მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლი და ამ ზოლში მოძრაობის მიმართულება დაწესდეს ზურაბ გორგილაძის ქუჩის კვეთიდან სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩამდე, თანახმად დანართი №2 და 2ᵃ-სა.

3. ქალაქ ბათუმში, ვახტანგ გორგასალის ქუჩაზე დაწესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობა ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩამდე, თანახმად დანართი №3-სა.

4. ქალაქ ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე დაწესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობა 26 მაისის ქუჩიდან ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩამდე, ხოლო სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების (M3 კატეგორია) მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლი გამოიყოს და ამ ზოლში მოძრაობის მიმართულება დაწესდეს ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩიდან თბილისის მოედნამდე, თანახმად დანართი №4, 4ᵃ, 4ᵇ და 4ᵃ-სა.

5. ქალაქ ბათუმში, ალექსანდრე პუშკინის ქუჩაზე დაწესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობა პარმენ ლორიას ქუჩიდან 26 მაისის ქუჩამდე, თანახმად დანართი №5-სა.

6. ქალაქ ბათუმში, ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩაზე დაწესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცალმხრივი მოძრაობა ტბელ აბუსერიძის ქუჩიდან შოთა რუსთაველის ქუჩამდე, თანახმად დანართი №6-სა.

მუხლი 2

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს:

ა) დადგენილების ამოქმედებიდან 90 დღის ვადაში ამ დადგენილებით განსაზღვრულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზებასთან დაკავშირებით ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარება, მათ შორის ქუჩების აღჭურვა შესაბამისი საგზაო ნიშნებით და სამარ-

შრუტო სატრანსპორტო საშუალებების (M3 კატეგორია) მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლის მონიშვნით;

ბ) დადგენილების შინაარსის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, მათ შორის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

მუხლი 3

ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების (M3 კატეგორია) მძღოლები ვალდებული არიან დაიცვან ამ დადგენილებით განსაზღვრული მოძრაობის ორგანიზების წესები, ხოლო ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" გათვალისწინებული სანქციების დაკისრებას.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საავტომობილო გზაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

აღნიშნული პროექტის მიღების ძირითადი მიზანია ქ.ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ზოგიერთ საკვანძო ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ისე დაორგანიზება რა დროსაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საავტომობილო საცობების ალბათობა და მუნიციპალური ავტობუსები იმოძრავებენ დაჩქარებულად მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ზოლში ე.წ. "BUS LINE"-ში.

ა.ბ პროექტის ძირითადი არსი:

აღნიშნული ცვლილებები შემუშავებულია მდგრადი ურბანული სატრანსპორტო სისტემის განვითარების პროექტის ფარგლებში, დაგეგმილი ცვლილებით:

გორგილაძის ქუჩაზე იქნება ცალმხრივი მოძრაობა ბარათაშვილიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე მონაკვეთში, საპირისპიროდ კი, მხოლოდ მუნიციპალური ავტობუსი იმოძრავებს;

ცალმხრივი მოძრაობა იქნება **ჭავჭავაძის ქუჩაზე** 26 მაისის ქუჩიდან გრიბოედოვის ქუჩამდე, ამავე მიმართულებით. აღნიშნულ მონაკვეთშიც საპირისპირო მიმართულებით მხოლოდ ავტობუსი იმოძრავებს; ცალმხრივი გახდება მოძრაობა **პუშკინის ქუჩაზე,** ლორიას ქუჩიდან 26 მაისის ქუჩამდე მონაკვეთში, ამავე მიმართულებით; **გრიბოედოვის ქუჩა** კი, ცალმხრივი გახდება ტბ.აბუსერიძის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე მონაკვეთში და მოძრაობა მხოლოდ ამ მიმართულებით იქნება. გრიბოედოვისა და რუსთაველის კვეთაში გაიხსნება გზაგამყოფი, განთავსდება შუქნიშანი და გრიბოედოვის ქუჩიდან ავტომობილებს საშუალება ექნებათ, იმოძრაონ რუსთაველის ქუჩაზე, როგორც მარჯვნივ – დელფინარიუმის მიმართულებით, ასევე მარცხნივ – ახალი ბულვარის მიმართულებით; **გორგასლის ქუჩაზე** კი, დღეს არსებული ცალმხრივი მოძრაობა [ბარათაშვილიდან გრიბოედოვის მიმართულებით] მთლიანად შეიცვლება და ამ ქუჩაზე მოძრაობა საპირისპირო მიმართულებით იქნება – გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან ბარათაშვილის მიმართულებით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

აღნიშნულ პროექტის აფინანსებს: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF);

ბ.ბ პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე იქონიებს გავლენას;

ბ.გ პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

გ.ა საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

დანართი N1

ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.

დანართი N1-ა

ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.

დანართი N1-ბ

ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.

დანართი N1-ვ

ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.
ქ. ფიროსმანის ქ.

დანართი N2

ნ. ბარათაშვილის ქ.
ნ. ბარათაშვილის ჩიხი
ცინცაძის ქ.
ოქროპირ ალექსიძის ქ.
ნ. ბარათაშვილის ქ.
ფალიაშვილის ქ.
ფალიაშვილის ქ.
ზეხვილის ქ.
ზეხვილის ქ.

დანართი N2-ა


ს. ბუბალოს შეიდლის ქ
ს. ბუბალოს შეიდლის ქ
ნ. ბარათაშვილის ქ
ს. ბუბალოს შეიდლის ქ
ნ. ციციშვილის ქ
ქუთაისის ქ
ქუთაისის ქ
ქუთაისის ქ

ᲡᲐᲠᲗᲘ N3

ᲑᲖ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ

ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ
ᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ
ᲔᲡ
ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ
ᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲪᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ
ᲑᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ
ᲓᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲓᲐᲜ
ᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
Ე



დანართი N4

ქ. ფიროსმანაშვილის
ქ. ფიროსმანაშვილის
ქ. ფიროსმანაშვილის
ქ. ფიროსმანაშვილის
ქ. ფიროსმანაშვილის
ქ. ფიროსმანაშვილის
ქ. ფიროსმანაშვილის

დანართი N4-ა

ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.
ქ. ფეიქრიშვილის ქ.

დანართი N4-ბ

26 მაისის ქ.
ქუთაისი
26 მაისის ქ.
ქუთაისი
ქუთაისი
ქუთაისი
ვაჟა-ფშაველას ქ.
ქუთაისი
ქუთაისი
ქუთაისი

დანართი N4-ვ


ქ. ფიროსმანის
ქ. ფიროსმანის
ქ. ფიროსმანის
ფიროსმანის ბულვარი
ფიროსმანის ბულვარი
ქ. ფიროსმანის
ქ. ფიროსმანის
ქ. ფიროსმანის
ქ. ფიროსმანის

›რთი N5

ერე პუშკინის ქუჩა

ირივი მოძრაობის
ულება

ეუმში, ალექსანდრე
ქუჩაზე დაწესდეს
რანსპორტო
ების ცალმხრივი
პარმეწ ლორიას
26 მაისის ქუჩამდე

ნართი N6

სანდრე გრიბოედოვის ქუჩა

. მოძრაობის მიმართულება

ბათუმში, ალექსანდრე
ედოვის ქუჩაზე
დეს
ატრანსპორტო
ლებების ცალმხრივი
ობა ტბელ აბუსერიძის
ან შოთა რუსთაველის
ე